ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2648361

ნომერი: AR1409336

თარიღი : 01.06.2016

გაცემის თარიღი : 14.06.2016

გაცნობის თარიღი : 14.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მესხიშვილი , N 12 / ქალაქი თბილისი , შესახვევი ავლაბრის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ქიშმარეიშვილი პ/ნ 01024018103
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 28 ბ. 19

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1055715
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.12.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, მესხიშვილის ქ. N12/ავლაბრის ქ. N5–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 29.02.2016წ. NᲑ–12/40997/12 ბრძანების შესაბამისად, სამუშაოების ნაწილი არ არის დასრულებული, მათ შორის, "4-1" და "ა-ვ" ფასადებზე კაპიტალური კედლის ნაცვლად მოწყობილია ბეტოპანის ფილები რომლებიც შესალესია და შესაღებია, "1-4" ფასადზე +0.400 ნიშნულზე :2-3" მონაკვეთში შესავსებია კედელი სრულად, "1-2" მონაკვეთში შესალესია და შესაღებია ცოკოლი, შენობის ფასადებზე ნაწილობრივ მოსაწყობია კარ-ფანჯრები.

ვინაიდან ობიექტზე ფიქსირდება დაუსრულებელი სამუშაოები, სამსახური თქვენ მოთხოვნას უკვე განხორციელებული სამუშაოების ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენ მოთხოვნაზე, საჭიროა წარმოადგინოთ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.
ამასთან, 29.02.2016წ. NᲑ–12/40997/12 ბრძანებაში ფიქსირდება დარღვევები, რომელიც დაკავშირებულია დარღვევით ნაწარმოები სამუშაოების შედეგად ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების (ფართობების) ცვლილებასთან, მათ შორის "სარდაფში შეცვლილია შენობის გაბარიტები", "+0.400 ნიშნულზე "2-3" მონაკვეთში "ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია ტერასის გაბარიტი", ""1-2" მონაკვეთში "ა-ა" ღერძის გარეთ აივნები შემცირებულია სიგანეში" და ა.შ., შესაბამისად წარმოსადგენი იქნება განმარტებითი ბარათი დარღვევით აშენებული ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.